ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები

მუხლი 1. სკოლაში კვების ობიექტის ორგანიზების ფორმები

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომ - სკოლა) საკვებით მომსახურების ორგანიზებისთვის დასაშვებია სკოლამ:
   ა) იურიდიული პირის დაფუძნების ან მეიჯარესთან გაფორმებული ხელშეკრულების გარეშე უზრუნველყოს საკვებით მომსახურება;
   ბ) გამოყოს ფართი იჯარით ინვენტარით ან მის გარეშე და შესაბამისმა ბიზნეს-ოპერატორმა უზრუნველყოს საკვებით მომსახურება.
2. საკვებით მომსახურების მიმწოდებელი ბიზნესოპერატორი ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში კანონმდებლობის შესაბამისად. რეგისტრაციისას მიუთითოს საქმიანობის კონკრეტული სახე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით მინიჭებული ნომერი და კონკრეტული საქმიანობის ადგილი/ადგილები (ფაქტიური მისამართი/მისამართები).
3. საკვებით მომსახურებისთვის ფართის იჯარით გაცემის შემთხვევაში მეიჯარე ვალდებულია სკოლას წარუდგინოს:
   ა) ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან იჯარით აღებული ფართის მისამართზე შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების მითითებით;
   ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ - სააგენტო) მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის/ინსპექტირების აქტები.
4. რეკომენდებულია სკოლის კვების ობიექტს უზრუნველყოფილი ჰქონდეს პოს ტერმინალით ანგარიშსწორება.

მუხლი 2. ზოგადი მოთხოვნები სკოლაში კვების ობიექტისადმი

1. სკოლის კვების ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს „ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილებითა და „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. სკოლის კვების ობიექტის მოწყობისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციით (გაიდლაინით) – „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ განსაზღვრული სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები სასმელი წყალმომარაგების, სანიტარიული ინფრასტრუქტურისა და დასუფთავებისადმი.

3. ბიზნესოპერატორი, რომელიც ახორციელებს სკოლაში საკვებით მომსახურებას, კვების ობიექტზე საქმიანობის დაწყებიდან 1 თვის განმავლობაში ვალდებულია უზრუნველყოს სააგენტოს მოწვევა ინსპექტირების განსახორციელებლად და იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს მიერ გაიცა მითითებები, სააგენტოს ინსპექტირების აქტით განსაზღვრულ ვადებში ასრულებს მათ.

მუხლი 3. სურსათის სახეობები სკოლის კვების ობიექტში

1. ბიზნესოპერატორი, სკოლაში საკვებით მომსახურების განხორციელებისას, ხელმძღვანელობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 ოქტომბრის №01-306/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაციით (გაიდლაინით) – „ჯანსაღი და უსაფრთხო კვება სკოლაში“.
2. არაგადამდებ დაავადებათა განვითარების რისკის შემცირებისა და სიმსუქნის პრევენციის მიზნით, შერჩეული უნდა იქნეს შაქრის ნაკლები შემცველობის სურსათი, მათ შორის სასმელი.
3. დაუშვებელია ტკბილი და გაზიანი სასმელების შეტანა (მათ შორის ხილის სასმელების, გაზიანი/უალკოჰოლო სასმელების, აღდგენილი სასმელების, ენერგეტიკული სასმელების) და გამოყენება.
4. კვებისათვის შერჩეული უნდა იქნეს დაბალი ცხიმის შემცველობის სურსათი. მიზანშეწონილია, ნაჯერი ცხიმები ჩანაცვლებულ იქნეს უჯერი ცხიმებით.
5. შერჩეული უნდა იქნეს მარილის/ნატრიუმის ნაკლები შემცველობის სურსათი.
6. ახალი პური წარმოადგენს თითოეული კვების აუცილებელ ნაწილს. ის შეიძლება შეიცვალოს ორცხობილით (დაუმტკბარი) ან მჭადით.
7. მოსწავლეთა კვებისათვის არ არის დასაშვები შემდეგი საკვებდანამატების შემცველი სურსათის გამოყენება:

   ა) ნატრიუმის ბენზოატი (E211) – კონსერვანტი;

   ბ) ტარტრაზინი (E102) – საღებავი;

გ) ქინოლინისებრი ყვითელი (E104) – საღებავი;
დ) ყვითელი „მზის ჩასვლა“ (E110) – საღებავი;
ე) კარმუაზინი (E122) – საღებავი;
ვ) პონსო ალისფერი 4R (E124) – საღებავი;
ზ) წითელი ალურა AC (E129) – საღებავი.

8. მოსწავლეთა კვებისათვის არ უნდა იქნეს გამოყენებული მოზრდილთათვის განკუთვნილი სპეციალური და დიეტური პროდუქტები, მაგალითად, ქოლესტეროლის დამწევი ან სურსათი/სასმელი შაქრის შემცვლელი ხელოვნური დამატკბობლებით, როგორიცაა:

ა) ასპარტამი (E951);
ბ) სახარინი (E954);
გ) სორბიტოლი (E420);
დ) აცესულფამი K (E950);
ე) სუკრალოზა (E955).

9. სპეციალური კვებითი საჭიროების მქონე ბავშვების კვებაში (საჭიროების შემთხვევაში) გამოსაყენებელი სურსათის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყანაში დამტკიცებული გაიდლაინებისა და პროტოკოლების და/ან აღიარებული საერთაშორისო რეკომენდაციები.

მუხლი 4. აკრძალული მზა პროდუქტები

მოსწავლეებში ჯანსაღი კვებითი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის, სკოლის კვების ბლოკში აკრძალულია შემდეგი პროდუქტების გამოყენება:

ა) საღეჭი რეზინი, კანფეტები, შოკოლადი, არომატიზებული წასახემსებლები (მაგ.: ჩიფსები, ჟელიბონი და სხვა);
ბ) მარილიანი, შაქრიანი ან ცხიმით დამუშავებული თხილეული, ხილი და ბოსტნეული;
გ) მაიონეზი და მაიონეზით შეზავებული პროდუქტები;
დ) დაკონსერვებული პროდუქტები;
ე) თერმულად დაუმუშავებელი კვერცხი;
ვ) სოკო ნებისმიერი ფორმით;
ზ) კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი;
თ) ტკბილი გაზიანი სასმელები;
ი) ყავა.

მუხლი 5. სკოლის კვების ობიექტის თანამშრომელთა პირადი ჰიგიენა

1. კვების ბლოკის პერსონალმა უნდა დაიცვას შემდეგი მოთხოვნები:

ა) სამუშაოს განხორციელებისას ჩაიცვას სუფთა სპეციალური ტანსაცმელი;

ბ) დაიცვას პირადი ჰიგიენის წესები;

გ) არ განახორციელოს სამუშაო აქტივობა ინფექციურ დაავადებაზე ეჭვის (მაღალი ტემპერატურა, სურდო, დიარეა) არსებობის ან ისეთი დაავადებით ინფიცირების შემთხვევაში, რომლის გავრცელება შესაძლებელია სურსათით (მაგალითად, ინფიცირებული ჭრილობა, კანის ინფექცია, წყლული და სხვ.).

2. კვების ბლოკში კატეგორიულად აკრძალულია:

ა) სურსათის, კულინარული და საკონდიტრო ნაწარმის მომზადების დროს საიუველირო ნაკეთობების გაკეთება, ფრჩხილებზე ლაქის წასმა;

ბ) სამუშაო ადგილზე სურსათის მიღება და სიგარეტის მოწევა;

გ) კანის დაავადების, კანზე ჩირქოვანი გამონაყარის მქონე პირების დაშვება სამუშაოზე;

დ) დამცავი ტანსაცმლის ქინძისთავებით, ნემსებით შეკვრა, ასევე პირადი ჰიგიენის საგნების ან/და სხვა გარეშე ნივთების ჯიბით ტარება.

ე) უცხო პირთა შესვლა დამცავი ტანსაცმლის გარეშე.

მუხლი 6. სკოლაში კვების ობიექტის კონტროლი

1. სკოლაში ბიზნესოპერატორის საქმიანობის სურსათის უვნებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში ახორციელებს სააგენტო, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში, სკოლის დირექტორი/დირექტორის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

მუხლი 7. სკოლის კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგი

1. სკოლის კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის მიზნით სკოლა ვალდებულია შექმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შევლენ საბაზო და/ან საშუალო საფეხურის მოსწავლეები, სკოლის მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები (სასურველია ბიოლოგიის), სკოლის ექიმი/ექთანი, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სკოლა უფლებამოსილია მონიტორინგის ჯგუფში ჩართვა სთხოვოს მუნიციპალიტეტში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრისა და მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის წარმომადგენლებს.
2. სკოლა განსაზღვრავს მონიტორინგის პროცედურასა და პერიოდულობას.
3. მონიტორინგის ჯგუფის წევრები ეცნობიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სააგენტოს რეკომენდაციებს, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 ოქტომბრის №01-306/ო ბრძანებით დამტკიცებულ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ რეკომენდაციებს (გაიდლაინით) – „ჯანსაღი და უსაფრთხო კვება სკოლაში“ და ხელმძღვანელობენ აღნიშნული რეკომენდაციებით.

4. მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე„ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის N533 დადგენილებით განსაზღვრული სავარაუდო კრიტიკული შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში მონიტორინგის ჯგუფი დაუყოვნებლივ ატყობინებს სკოლის დირექტორსა და სააგენტოს ცხელ ხაზს 15 01.
5. სკოლის კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის განხორციელების უფლებამოსილება ასევე აქვთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრების, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებს.